




# საგადასახადო სიახლეები

აპრილი, 2023



## საქართველოს კანონი

### საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 2023 წლის 5 აპრილი

#### 1. ცვლილებები ხანდაზმულობის ვადაში

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის თანხის დარიცხვისა და საგადასახადო ვალდებულების შესახებ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადას, შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- მე-10 ნაწილს დაემატა „დ“-„ვ“ პუნქტები:

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა ჩერდება:

დ) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;

ე) საგადასახადო შეთანხმების აქტის მოქმედების პერიოდში;

ვ) ამ კოდექსის 238-ე მუხლის (საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა საგადასახადო ორგანოს მიერ) მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

- შეიცვალა მე-11 ნაწილის რედაქცია:

11. ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები არ გამოიყენება:

ა) საგადასახადო ორგანოს მიერ სასამართლოს/დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდში;

ბ) ამ კოდექსის 246-ე მუხლის საფუძველზე საგადასახადო ორგანოს მიერ პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოსთვის წარდგენასთან და ცრუმაგიერი პირის მიმართ ამ კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

წინა რედაქციის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს მიერ სასამართლოს/დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულებისას ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები არ გამოიყენება.

საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენასა და ცრუმაგიერი პირის მიმართ საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით. გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება ხანგრძლივი პროცესია. მნიშვნელოვანია არსებობდეს საკმარისი მტკიცებულებები, რომ პირი, გამოყენებულია გადასახადის გადამხდელის მოსალოდნელი ან არსებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის, პირის ცრუმაგიერობას ადგენს სასამართლო, რის შემდეგაც ეძლევა შესაძლებლობა საგადასახადო ორგანოს დაიწყოს საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები ცრუმაგიერი პირის მიმართ, რაც შესაძლებელია ვერ განხორციელდეს ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო.

#### 2. ცვლილებები ტერმინთა განმატებებში

ტერმინთა განმარტებების მე-8 მუხლს დაემატა ახალი 56-ე ნაწილი, რომელიც განმარტავს

დაშლის პროცესში მყოფ პირს:

დაშლის პროცესში მყოფი პირი (დაშლილი საზოგადოება) – პირი (გარდა ფიზიკური პირის მიერ დაარსებული ფილიალისა, რომელიც არის მეწარმე ფიზიკური პირი), რომლის მიმართაც, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განხორციელდა დაშლის პროცესის დაწყების რეგისტრაცია (რომლის ლიკვიდაციის პროცესიც მიმდინარეობს).

**205-ე მუხლის (ქონების გადასახადის გამოანგარიშება და გადახდა):**

ა) მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. დაშლის პროცესში მყოფი პირი (დაშლილი საზოგადოება) ვალდებულია საგადასახადო ორგანოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს დაშლის შესახებ და იმავე ვადაში წარუდგინოს ქონების გადასახადის დეკლარაცია.“;

ბ) 13<sup>1</sup> ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13<sup>1</sup>. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სხვა მარეგისტრირებული ორგანოს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის (მონაცემების) საფუძველზე საგადასახადო ორგანოს მიერ მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვისას პირი თავისუფლდება მიწაზე ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისგან. ამ შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაციის (მონაცემების) საფუძველზე პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.“.

კანონპროექტის მიხედვით ხორციელდება ცვლილებები სსკ-ის ცალკეული დებულებების 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებულ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, სსკ-ის მე-8 მუხლის 54-ე ნაწილს ემატება 55-ე ნაწილი და განიმარტება დაშლის პროცესში მყოფი პირის დეფინიცია, ახალი რედაქციით ყალიბდება 55-ე მუხლი, ასევე, 153-ე მუხლის მე-3 და 205-ე მუხლის მე-10 ნაწილები.

3. საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლის ე-3 ნაწილი ცვლილებით საერთაშორისო კომპანიის მიერ არკდალული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, კომპანიას საერთაშორისო კომპანიის სტატუსი გაუქმდება აკრძალული საქმიანობის განხორციელების წლის დასაწყისიდან, ნაცვლად სტატუსის მინიჭების თარიღიდან.
4. დაზუსტებითი ხასიათის ცვლილება ხორციელდება სსკ-ის 39-ე მუხლის 11 ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, ზუსტდება, რომ საგადასახადო საიდუმლოებას არ განეკუთვნება ინფორმაცია პირისთვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების შეზღუდვის (მათ შორის გამოწერის/გაცემის შეჩერების) შესახებ.
5. საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-10 ნაწილის ცვლილებით დღეს მოქმედი რედაქცია შესაბამისობაში მოდის საბაჟო კოდექსის შესაბამის მუხლში განხორციელებულ ცვლილებასთან, კერძოდ, ყალიბდება ახალი რედაქციით. საწარმოს/ორგანიზაციის მიმართ იცვლება დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების წესი. საგადასახადო ორგანოს უფლება ექნება დოკუმენტი საჯაროდ გაავრცელოს, თუ გადასახადის გადამხდელი (გარდა ფიზიკური პირისა), საგადასახადო ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით გაგზავნილ დოკუმენტს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ავტორიზებული მომხმარებლის ვებგვერდზე განთავსებიდან 30 დღის განმავლობაში არ გასცნობია.
6. 55-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 55. საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას (მათ შორის, დაშლის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შემთხვევაში)

1. საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას (მათ შორის, დაშლის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შემთხვევაში) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს/ვალდებულებებს ასრულებს და საგადასახადო დავალიანებას იხდის ეს საწარმო/ორგანიზაცია, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ამ კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოს ლიკვიდაციისას/საქმიანობის შეწყვეტისას (საგადასახადო აღრიცხვის გაუქმებისას) საგადასახადო ვალდებულების შესრულებას და საგადასახადო დავალიანების გადახდას სოლიდარულად ახორციელებენ აღნიშნული საწარმოს პარტნიორები/მონაწილეები.

3. საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას (მათ შორის, დაშლის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შემთხვევაში) ზედმეტად გადახდილ თანხას საგადასახადო ორგანო ამ კოდექსით დადგენილი წესით უბრუნებს აღნიშნულ საწარმოს/ორგანიზაციას.“.

7. საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტსა და 205-ე მუხლის 13<sup>1</sup> ნაწილში, რომლის თანახმად მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვის საფუძველი, გარდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ინფორმაციისა, შესაძლებელია ასევე გახდეს სხვა მარეგისტრირებული ორგანოს და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ წარდგენილი ინფორმაცია.

8. ამოღებულ იქნა სსკ-ის 64-ე მუხლის მე-3 ნაწილი. საგადასახადო კოდექსის 64-ე მუხლი მე-3 ნაწილის თანახმად წარდგენის კონკრეტული საფუძველით პირს წარედგინება მხოლოდ ერთი საგადასახადო მოთხოვნა. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირი ნაწილობრივ ეთანხმება მისთვის საგადასახადო შემოწმების შედეგების მიხედვით წარდგენილ საგადასახადო მოთხოვნას, ეს საგადასახადო მოთხოვნა სრულად საჩივრდება, რის გამოც მიუხედავად იმისა, რომ პირი ნაწილობრივ ეთანხმება საგადასახადო შემოწმების აქტით დარიცხულ თანხას, საგადასახადო დავალიანება სრულად რჩება აუღიარებელი, რაც აფერხებს გადასახადის ადმინისტრირების პროცესს.

კანონპროექტის თანახმად, 64-ე მუხლის მე-3 ნაწილი უქმდება, შესაბამისად, საგადასახადო ორგანო შეძლებს გამიჯნოს საგადასახადო შემოწმების შედეგების მიხედვით დარიცხული თანხები და გამოსცეს რამდენიმე საგადასახადო მოთხოვნა, იმის მიხედვით თუ რა ნაწილში ეთანხმება ან არ ეთანხმება დარიცხვას გადასახადის გადამხდელი, რაც შეამცირებს სადავო შემთხვევებს და გაამარტივებს გადასახადის ადმინისტრირებას.

9. ცვლილებები შევიდა სსკ-ის 73-ე მუხლში (ცალკეულ შემთხვევაში დაბეგრის ობიექტისა და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა), კერძოდ:

- მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში დასაბეგრი თანხის ოდენობა საბაზრო ფასით განსაზღვროს. ამ ნაწილის გამოყენების პირობებსა და წესებს, აგრეთვე შემთხვევებს, როდესაც ეს ნაწილი არ გამოიყენება, განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“;

73-ე მუხლის მე-8 ნაწილის ცვლილებით საგადასახადო ორგანოს ეძლევა უფლებამოსილება ბარტერული ოპერაციების შემთხვევაში დასაბეგრი თანხა დაადგინოს საბაზრო ფასით, რომლის განსაზღვრის წესი და პირობები დგინდება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალურ ნორმას, რომელიც საგადასახადო ორგანოს მისცემდა შესაძლებლობას დღგ-ს მიზნისთვის ერთ პირად განიხილოს რამდენიმე პირი, რომლებსაც აკონტროლებს ერთი და იგივე პირ და რომლებიც მათი ფორმალური დამოუკიდებლობის მიუხედავად მოქმედებენ შეთანხმებულად დღგ-სგან თავის არიდების



მიზნით.

- მე-9 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) დღგ-ის მიზნისთვის ერთ დასაბეგრ პირად განიხილოს საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული ნებისმიერი რამდენიმე პირი, მათი ფორმალური/იურიდიული დამოუკიდებლობის მიუხედავად, თუ მათ საქმიანობასთან/მართვასთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებებს ერთი და იგივე პირი იღებს და მათი საქმიანობის ადგილი, სახე და შინაარსი იდენტურია. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევებსა და წესებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“.

ამ ცვლილების თანახმად დღგ-სგან თავის არიდების პრევენციის მიზნით, საგადასახადო ორგანოს ენიჭება უფლება, დღგ-ის მიზნისთვის ერთ დასაბეგრ პირად (მათი ფორმალური/იურიდიული დამოუკიდებლობის მიუხედავად) განიხილოს, საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული ნებისმიერი რამდენიმე პირი, თუ მათ საქმიანობასთან/მართვასთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს ერთი და იგივე პირი და მათი საქმიანობის ადგილი, სახე და შინაარსი იდენტურია. ამ უფლების გამოყენების შემთხვევებსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

## 10. ცვლილებები საგადასახადო შეღავათის გამოყენებაზე ფიზიკურ პირებში.

82-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო წლის მიხედვით გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავალზე შეღავათის გამოყენების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“.

ამ ცვლილების შესაბამისად, საგადასახადო წლის მიხედვით გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავალზე შეღავათის გამოყენების წესს დაადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. შესაბამისად, დაქირავებული პირს აღარ ექნება ვალდებულება, რომ საგადასახადო შეღავათის გამოყენების მიზნით, დაქირავებულს წარუდგინოს შეღავათით სარგებლობის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა.

## 11. 89-ე მუხლის (მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება):

- მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად მიიჩნევა კალენდარული წლის მომდევნო წლის დასაწყისიდან.“;

- მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3<sup>1</sup> ნაწილი:

„3<sup>1</sup>. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად მიიჩნევა პირის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.“.

საგადასახადო კოდექსის მოქმედი რედაქციით, პირს, პირადი განცხადების საფუძველზე მცირე ბიზნესის სტატუსი უუქმდება კალენდარული წლის მომდევნო წლის დასაწყისიდან, რაც ამძიმებს გადასახადის გადამხდელის მდგომარეობას, ვინაიდან მას სურვილის მიუხედავად, მომდევნო წლის დასაწყისამდე არ აქვს შესაძლებლობა ეს სტატუსი გააუქმოს.

კანონპროექტის მიხედვით ცვლილება ხორციელდება 89-ე მუხლში, რომლის შესაბამისად, თუ პირი, მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მიზნით საგადასახადო ორგანოს მიმართავს კალენდარული წლის დასრულებამდე, სტატუსი გაუქმებულად ჩაითვლება მომართვის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

## 12. 135-ე მუხლის (საანგარიშო პერიოდი):

- პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„1. პირისთვის (გარდა ამ მუხლის მე-2-მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული პირებისა) საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი.“;
- მე-4 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:  
„5. არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ფიზიკური პირის მიერ მიღებული ნამეტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.“.

**13. 153-ე მუხლის (დეკლარაციის წარდგენა):**

- მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„3. დაშლის პროცესში მყოფი პირი (დაშლილი საზოგადოება) ვალდებულია საგადასახადო ორგანოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს დაშლის შესახებ და იმავე ვადაში წარუდგინოს დეკლარაცია.“;
- მე-11 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 ნაწილი:  
„12. არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ.“.

**მე-12 და მე-13 ნაწილების შესახებ:**

საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, არამეწარმე ფიზიკური პირის მიერ აქტივის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი. შესაბამისად, მას ქონების გასხვისების შემთხვევაში გადასახადის დეკლარირების და გადახდის ვალდებულება წარმოეშობა, არაუგვიანეს შემოსავლის მიღების წლის მომდევნო წლის 1 აპრილისა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს გადასახადის ადმინისტრირებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტის მიხედვით ცვლილება ხორციელდება 135-ე და 153-ე მუხლებში, კერძოდ, არამეწარმე ფიზიკური პირისთვის, რომელიც აქტივის რეალიზაციით მიღებული შემოსავლიდან არ ახორციელებს გამოქვითვებს, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საანგარიშო პერიოდად განისაზღვრება კალენდარული თვე, ნაცვლად კალენდარული წლისა, ხოლო საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენა განხორციელდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

**14. 165-ე მუხლს (დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია) დაემატოს შემდეგი შინაარსის 7<sup>1</sup> ნაწილი:**

„7<sup>1</sup>. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისთვის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ გაითვალისწინება.“.

საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლს ემატება 7<sup>1</sup> ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისთვის დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას არ გაითვალისწინება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ კონკრეტულ საქმიანობებზე დადგენილია ფიქსირებული გადასახადის განაკვეთები. მაგ.: თონე - 50 ლარი, ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი - 100 ლარი და ა.შ. შესაბამისად, კანონმდებლობა ასეთ გადამხდელს არ ავალდებულებს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვას. აქედან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელის მიერ დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების უნებლიე დარღვევისაგან თავის არიდების მიზნით მართებულია რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას არ იქნეს გათვალისწინებული ის შემოსავლები, რომლის აღრიცხვის ვალდებულება პირს არ გააჩნია.

**15. 173-ე მუხლის (საქონლის იმპორტის დღგ-ისგან გათავისუფლება) „ფ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ფ) საქართველოს საბაჟო კოდექსის:

ფ.ა) 107-ე მუხლით გათვალისწინებული დაბრუნებული საქონლის იმპორტი, თუ აღნიშნული საქონელი აკმაყოფილებს იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებისთვის იმავე მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მიუხედავად იმისა, იბეგრება თუ არა ეს საქონელი იმპორტის გადასახადით;

ფ.ბ) 152-ე მუხლის შესაბამისად გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავებით მიღებული გადამუშავებული პროდუქტის იმპორტი, თუ აღნიშნული საქონელი აკმაყოფილებს იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებისთვის იმავე მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მიუხედავად იმისა, იბეგრება თუ არა ეს საქონელი იმპორტის გადასახადით;“.

**194-ე მუხლის (აქციზისგან გათავისუფლების მარეგულირებელი წესები) მე-5 ნაწილის:**

ა) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ამ კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის მე-10 გრაფით გათვალისწინებული საქონლისა და იმავე ცხრილის მე-13 გრაფით გათვალისწინებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2912 11 000 00 კოდში მითითებული საქონლის იმპორტი, თუ ეს საქონელი არააქციზური საქონლის საწარმოებლად გამოიყენება.

შენიშვნა: აღნიშნული საქონლის იმპორტისას გადაიხდებინება აქციზი, ხოლო აქციზის დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია დაიბრუნოს ან/და მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში ჩაითვალოს აქციზის გადახდილი თანხა;“;

ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) საქართველოს საბაჟო კოდექსის:

ი.ა) 107-ე მუხლით გათვალისწინებული დაბრუნებული საქონლის იმპორტი, თუ აღნიშნული საქონელი აკმაყოფილებს იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებისთვის იმავე მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მიუხედავად იმისა, იბეგრება თუ არა ეს საქონელი იმპორტის გადასახადით;

ი.ბ) 152-ე მუხლის შესაბამისად გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული აქციზური საქონლის გადამუშავებით მიღებული აქციზური საქონლის იმპორტი, თუ აღნიშნული საქონელი აკმაყოფილებს იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებისთვის იმავე მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მიუხედავად იმისა, იბეგრება თუ არა ეს საქონელი იმპორტის გადასახადით;“.

**ამ ცვლილებებთან დაკავშირებით:**

173-ე და 194-ე მუხლებში, დამატებული ღირებულების გადასახადისაგან და აქციზისაგან გათავისუფლების მარეგულირებელ ნორმებში ემატება საქართველოს საბაჟო კოდექსის 152-ე მუხლით გათვალისწინებული გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტის იმპორტი, თუ ეს საქონელი გათავისუფლდა იმპორტის გადასახადისგან.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 152-ე მუხლის პირველი ნაწილის განსაზღვრულია, რომ თუ დეკლარანტი დაადასტურებს, რომ გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი, სახელშეკრულებო ან საგარანტიო ვალდებულებიდან გამომდინარე ან საწარმოო დეფექტის გამო, უსასყიდლოდ გადამუშავდა, გადამუშავებული პროდუქტი საქართველოს საბაჟო

ტერიტორიაზე შემოტანისას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული უნდა იქნეს იმპორტის გადასახადისგან სრულად გათავისუფლებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 173-ე მუხლი (საქონლის იმპორტის დღგ-ისგან გათავისუფლება) ითვალისწინებს საბაჟო კოდექსის 107-ე მუხლისა და მე-10 წიგნის შესაბამისად იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებული საქონლის იმპორტის დღგ-ისგან გათავისუფლებას.

საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად დაბრუნებული აქციზური საქონლის იმპორტის გათავისუფლებას ითვალისწინებს ასევე საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლის (აქციზისაგან გათავისუფლების მარეგულირებელი წესები) მე-5 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი. თუმცა, ვინაიდან საბაჟო კოდექსში საქონლის გათავისუფლების შემთხვევა განსაზღვრულია ასევე 152-ე მუხლით, რაც არ არის ასახული საქართველოს მოქმედ საგადასახადო კოდექსში, არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრისა და საგადასახადო შეღავათის გავრცელებასთან მიმართებაში ერთიანი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით, საბაჟო კოდექსის 152-ე მუხლით გათვალისწინებული და იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებული, გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის იმპორტის გათავისუფლება ემატება დღგ-ისგან და აქციზისგან გათავისუფლების მარეგულირებელ ნორმებში.

16. ახალი რედაქციით ყალიბდება 188-ე მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის მე-12 სტრიქონი და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდში (სითხეები ნიკოტინის შემცველობით ან ნიკოტინის შემცველობის გარეშე, განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისათვის) მითითებულ საქონელზე განაკვეთი 0,2 ლარის ნაცვლად განისაზღვრება 1 ლარის ოდენობით. საშუალო სტატისტიკურად ერთი კოლოფი სიგარეტი შესაბამება 1 მლ მოცულობის ელექტრო სიგარეტის სითხეს. 1 კოლოფი სიგარეტის საშუალო სარეალიზაციო ფასი არის - 7 ლარი, მასზე გადახდილი აქციზი ადვალური კომპონენტის ჩათვლით არის - 3.5 ლარი. ხოლო, ანალოგიური სამომხმარებლო ეფექტის მქონე ელექტრონული სიგარეტის, ანუ ერთი მლ. სითხის აქციზი არის - 0.2 ლარი. ელექტრონული სიგარეტის სითხის იმპორტზე სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბოლო წლებში სიგარეტზე აქციზის განაკვეთის მატების კვალდაკვალ მატულობს ელექტრონული სიგარეტის მოხმარება. შესაბამისად მიზანშეწონილია ამ ორ, ბაზარზე მარტივად ურთიერთჩანაცვლებად პროდუქტს გააჩნდეს ერთიდაიგივე ეფექტის მქონე აქციზის განაკვეთი.

188-ე მუხლის პირველი ნაწილის ცხრილს ემატება მე-13 სტრიქონი, რის შედეგადაც აქციზური საქონლის ჩამონათვალს დაემატება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2909 19 100 00, 2909 19 900 00 და 2912 11 000 00 კოდებში კლასიფიცირებული საქონელი (მეთანალი (ფორმალდეჰიდი), ტერტ-ბუტილეთილის მარტივი ეთერი და ა.შ. მსგავსი საქონელი). აღნიშნული საქონელი დაიბეგრება 400 ლარის ოდენობით 1 ტონაზე.

წარმოდგენილი ცვლილების საჭიროება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ხსენებულ კოდებში მითითებული საქონელი გამოიყენება აქციზური საქონლის საწარმოებლად (გადამუშავების/შერევის გზით).

სსკ-ის 188-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილს ემატება „გ“ ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრება, რომ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 10 000 02 კოდში მითითებული საქონლისთვის (სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით) 20 ღერზე აქციზის განაკვეთია ამ საქონელზე აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამი.

აღნიშნული ცვლილება უკავშირდება იმ გარემოებას, რომ დასახლებული საქონელი გამოიყენება იგივე მიზნით, რა მიზნითაც სხვა ადვალური წესით დაბეგრას დაქვემდებარებული საქონელი (სეს ესნ-ის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი სიგარეტებისათვის/უფილტრო სიგარეტები). თუმცა, განსხვავდება აღნიშნული საქონლის დაბეგრის წესი. ამის გათვალისწინებით, დაბეგრის ერთნაირი წესის შემოღებისა და მსგავსი დანიშნულების საქონელზე ერთნაირი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით ასევე დაიბეგრება ადვალური წესით.

საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილში ახალი ნორმის დამატებისა და სეს ესნ-ის 2402



10 000 02 კოდში მითითებულ საქონელზე (სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით) აქციზის თანხის გამომანგარიშების ცვლილების გათვალისწინებით, ტექნიკური ხასიათის ცვლილება ხორციელდება იმავე მუხლის 12 ნაწილში და ზუსტდება, რომ თამბაქოს ნაწარმის ჩამონათვალს, როდესაც აქციზის თანხის გამომანგარიშების მიზნისთვის საცალო სარეალიზაციო ფასს და მისი დადგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ემატება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 10 000 02 კოდი.

**17. 189-ე მუხლის (აქციზის ჩათვლა) მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში მითითებული მსუბუქი ავტომობილის ან 8711 კოდში მითითებული მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევიდან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება 180 კალენდარული დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის პროცედურაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად დაიბრუნოს ამ სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი აქციზი 100 პროცენტის ოდენობით.“.

**198-ე მუხლის (გადასახადის დარიცხვისა და გადახდის წესი) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში მითითებული მსუბუქი ავტომობილის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევიდან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება 180 კალენდარული დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის პროცედურაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად დაიბრუნოს ამ სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი იმპორტის გადასახადი 100 პროცენტის ოდენობით.“.

აღნიშული ხელს შეუწყობს ამ სფეროში დასაქმებულ სუბიექტებს მარტივად მიიღონ გადაწყვეტილება გაფორმებული სატრანსპორტო საშუალების არარეზიდენტზე გასხვისების შემთხვევაში. ამასთან მართებულია, საქონლის ექსპორტისას დაბრუნდეს მასზე გადახდილი არაპირდაპირი გადასახადები, რადგან საქონელი გამოიყენება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

**18. 192-ე მუხლის (აქციზური მარკები) მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7. პირის მიერ აქციზური მარკების მიღებიდან 6 თვეში საქონლის იმპორტის/აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განუხორციელებლობის შემთხვევაში აქციზური მარკები დაბრუნებას ექვემდებარება. 6-თვიანი პერიოდის გასვლის მომდევნო დღესვე აქციზური მარკების დაუბრუნებლობა ამ კარის მიზნებისთვის მიიჩნევა აქციზური მარკების სავალდებულო ნიშანდებისადმი დაქვემდებარებული საქონლის ქვეყნის შიგნით მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება აქციზით, ხოლო შემდგომ პერიოდში, დაუბრუნებელი აქციზური მარკებით ნიშანდებული საქონლის იმპორტის/აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისას, გადასახდელად დარიცხული აქციზი გადაანგარიშდება ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის/აქციზით დასაბეგრი ოპერაციის ოდენობის პროპორციულად.“.

**შენიშვნა:** ამ ნაწილის მოქმედების წესი ამ მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“.

მოქმედი კანონმდებლობით, ადგილობრივი წარმოებისათვის გატანილი აქციზური მარკების გამოყენების კონტროლი ხორციელდება შემოსავლების სამსახური წარმომადგენლის მიერ მწარმოებლის ობიექტზე მარკების აღრიცხვისა და მისი ფიზიკური არსებობის დადასტურების გზით. ადმინისტრაციული რესურსის ეფექტური გამოყენების მიზნით, მიზანშეწონილია ადგილობრივი წარმოებისათვის გატანილი აქციზური მარკების გამოყენების კონტროლი განხორციელდეს იმპორტისათვის განკუთვნილი მარკების გამოყენების კონტროლის მსგავსად, რაც ადამიანური რესურსის ნაკლებად ჩართულობას ითვალისწინებს.

19. 199-ე მუხლში (აქციზის გადასახადისაგან გათავისუფლება) შედის ტექნიკური ხასიათის შესწორებები, კერძოდ, „ე“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ, აღნიშნული ქვეპუნქტის მე-2 ნაწილში, 2021 წლამდე მოქმედი სსკ-ის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ2“ ქვეპუნქტზე მითითების ნაცვლად, კეთდება მითითება კოდექსის 173-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე. აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 2021 წლამდე მოქმედი რედაქციის 199-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა ანალოგიურ საგადასახადო შეღავათებს, რადგან მითითება კეთდებოდა იმ დროისთვის მოქმედი სსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნების შესაბამისად საქონლის დროებით შემოტანაზე, თუმცა ასეთი შინაარსის ქვეპუნქტები კოდექსის მოქმედი რედაქციის 173-ე მუხლით გათვალისწინებული აღარ არის, ვინაიდან მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას აღარ წარმოადგენს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანა.

აღნიშნული გათვალისწინებით, სსკ-ის 173-ე მუხლის „ძ“ და „წ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის დროებითი შემოტანა თავისუფლდება იმპორტის გადასახადისაგან.

ასევე, სსკ-ის 199-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ ემატება „კ1“ და „კ2“ ქვეპუნქტები, რის საფუძველზეც, იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებითი შემოტანა და ასევე საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად საბაჟო ვალდებულებისაგან სრულად გათავისუფლებული საქონლის დროებით შემოტანა.

20. 270-ე მუხლის (საგადასახადო სანქცია) მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „7. ამ კოდექსის 273-ე ან 281-ე მუხლით, 286-ე მუხლის პირველი ან მე-11 ნაწილით ან 288<sup>5</sup> ან 291-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენისთვის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედებები ჩადენილია განმეორებით) ფულადი ჯარიმის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება.“.

270-ე მუხლის მე-7 ნაწილში შემოთავაზებული ცვლილებით იზრდება საგადასახადო სამართალდარღვევისთვის ფულადი ჯარიმის ნაცვლად გაფრთხილების გამოყენების შესაძლებლობა. კერძოდ, ჩამონათვალს ემატება საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით (გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევა) გათვალისწინებულ სამართალდარღვევის და ამავე პროექტით განსაზღვრული 288<sup>5</sup> მუხლით (დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევების ფაქტებზე.

21. 286-ე მუხლის მე-5 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

„ე) მრგვალი ხეტყის (მორის) ან ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის წარმოშობის, შეძენის ან იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, თარიღი და ნომერი;

ვ) თითოეული მრგვალი ხეტყის (მორის) ან ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის სპეციალური ფირნიშის ნომერი (გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა, როდესაც სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითება სავალდებულო არ არის).“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მიხედვით, სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებაზე განსაზღვრულია ფულადი ჯარიმა, ხოლო ამავე საქმიანობის ფარგლებში მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტების სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებაზე, განსაზღვრულია როგორც ფულადი ჯარიმა, ისე შესაბამისი საქონლის ჩამორთმევა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პრაქტიკაში გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც გადასახადისგადამხდელი ახორციელებს ხე-ტყის გადაზიდვას ან/და მიწოდებას, რა დროსაც, ნაცვლად ხე-ტყის სასაქონლო ზედნაღებისა, გამოწერილია ჩვეულებრივი ტიპის სასაქონლო ზედნაღები, ამასთან იმ დაშვებით, რომ ჩვეულებრივი ტიპის სასაქონლო ზედნაღები არ მოიცავს ხე-ტყის გადაზიდვისთვის/მიწოდებისთვის საჭირო ინფორმაციას (საქონლის წარმოშობის დოკუმენტი, ფირნიშის ნომერი და ა.შ.), საგადასახადო ორგანო მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს საქონლის სასაქონლო ზედნაღების გარეშე ტრანსპორტირებას და პირის მიმართ ახორციელებს როგორც ხე-ტყის ზედნაღების გარეშე ტრანსპორტირებისთვის ჯარიმის შეფარდებას, ისე შესაბამისი საქონლის ჩამორთმევას.

შესაბამისად, 286-ე მუხლში ხორციელდება დაზუსტებით ხასიათის ცვლილება და მუხლის მე-5 ნაწილს ემატება ახალი შინაარსის ქვეპუნქტები, რომლის საფუძველზეც, ჩვეულებრივი სასაქონლო ზედნაღებით ხე-ტყის ტრანსპორტირება/მიწოდება ჩაითვლება სასაქონლო ზედნაღების გარეშე ტრანსპორტირებად/მიწოდებად.

## 22. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 288<sup>5</sup> მუხლი:

„მუხლი 288<sup>5</sup>. დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა:

პირის მიერ დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა – იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ დაქირავებულ პირზე 200 ლარის ოდენობით.“.

პროექტით განისაზღვრება ახალი სამართალდარღვევის სახე - დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა, (მუხლი 288<sup>5</sup>.) რაც დაქირავებულ პირთა რეესტრში არასწორი/არასრული ინფორმაციის შეტანისათვის ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომას თითოეულ დაქირავებულ პირზე 200 ლარის ოდენობით. აღნიშნული ცვლილების საჭიროება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საგადასახადო კოდექსის 291-ე მუხლით დადგენილი ჯარიმა არაეფექტურია და გადასახადის გადამხდელს ერთჯერადად ურჩევნია 100 ლარის გადახდა, დაქირავებული პირების შესახებ ინფორმაციის დაქირავებულ პირთა რეესტრში სრულად ასახვას.

**პუბლიკაციაში წარმოდგენილი საგადასახადო ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანია საგადასახადო სისტემისთვის. დოკუმენტის სრული ვერსიის სანახავად ეწვიეთ ბმულს - [საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ](#)**

პუბლიკაციაში წარმოდგენილი საკითხები არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის და გამიზნულია ზოგადი მიმოხილვისათვის. არ არის რეკომენდებული აღნიშნულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება ჩვენს წარმომადგენელთან კონსულტაციის გარეშე!

ჩვენი საგადასახადო სპეციალისტები მუდამ მზად არიან განგიმარტონ და მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ მოცემულ ცვლილებებზე!

#### გელა მდებრიშვილი

მმართველი პარტნიორი

TEL: +995 595 333 853

E-Mail: [gela.mghebrishvili@nexia.ge](mailto:gela.mghebrishvili@nexia.ge)

#### დავით მამრიკიშვილი

მმართველი პარტნიორი / საგადასახადო მიმართულების დირექტორი

TEL: +995 591 505 009

E-Mail: [david.mamrikishvili@nexia.ge](mailto:david.mamrikishvili@nexia.ge)